

თვის ამბავი

Model United Nations



შაბათს, 2 ივნისს, დრონის ოფისმა „Model United Nations“-ს უმასპინძლა. მონაწილეებს ერთი საერთო მისია აერთიანებდა, რომლის მიზანს კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებულ პრობლემებზე და მათი გადაჭრის გზებზე მსჯელობა წარმოადგენდა. „Model United Nations“-ის მონაწილეები წარმოადგენდნენ ისეთი ქვეყნების დიპლომატებს, როგორებიცაა: ავსტრალია, ბრაზილია, ჩინეთი, საფრანგეთი, გერმანია, ინდოეთი, საუდის არაბეთი, გაერთიანებული სამეფო, ამერიკის შეერთებული შტატები; და ასევე ისინი წარმოადგენდნენ დირექტორთა საბჭოს. პროექტის შედეგად მონაწილეებმა გაერთიანებული ერების სამუშაო პროცესისა და სტრუქტურის შესახებ დიდი გამოცდილება და ცოდნა მიიღეს.

შეხვედრის განმავლობაში მათ 3 მნიშვნელოვან საკითხზე იმსჯელეს, ესენია:

- იმ ფონდის შექმნა, რომელიც კლიმატის ცვლილებაზე იმუშავებს;
- სათბურების ემისიის შემცირებისთვის მიზნის დასახვა;
- მწვანე ტექნოლოგიის გადაცემა.

ხანგრძლივი განხილვის შემდეგ მონაწილეები შეთანხმდნენ რომ ისინი ორ მთავარ საკითხზე იმუშავებდნენ. პირველი იყო ფონდის შექმნა, რომელსაც განვითარებული ქვეყნები შეუწყობენ ხელს. ხოლო მეორე - „სპეციალური კომისიის“ შექმნა, რომელიც იზრუნებს მწვანე ტექნოლოგიის UNFCCC-ის ნაკლებად განვითარებული ნაწილებისთვის გადაცემაზე.

რა ხდება დრონში

გრძელვადიანი პროექტი **“DIALOGUE FOR YOUTH PARTICIPATION AND YOUTH POLICY”** დასასრულს მიუახლოვდა

8 - 11 ივნისს ახალგაზრდულმა ასოციაცია - დრონიმ უმასპინძლა კონფერენციას, რომლის მთავარ მიზანსაც გრძელვადიანი პროექტის “Dialogue for Youth Participation and Youth Policy”-ის შედეგების შეფასება წარმოადგენდა. კონფერენციას ესწრებოდნენ მონაწილეები უკრაინიდან, სლოვაკეთიდან, სომხეთიდან და საქართველოდან. პროექტის მიზანი იყო „ახალგაზრდული ჩართულობის“ წახალისება და მონაწილეებისათვის შესაძლებლობის მიცემა - აემალეზინათ სოციალური და პროფესიული უნარ-ჩვევები, რომელსაც ისინი “ახალგაზრდული მუშაობის” სფეროში გამოიყენებენ. კონფერენციის ფარგლებში, დრონიმ პროექტის წარმატების აღსანიშნად მონაწილეებისა და ადგილობრივი მოხალისეებისთვის წვეულება მოაწყო.



USE-IT

ამ თვეში დრონიმ დაიწყო პოპულარულ რუკის - “USE-IT”-ის განახლებაზე მუშაობა. რუკა მთავარი წანამდვარია თბილისში მყოფი ტურისტებისთვის. ზაფხულის განმავლობაში მოხალისეების გუნდი დაათვალიერებს ქალაქს, რათა დარწმუნდნენ, რომ რუკა მოიცავს „აუცილებლად სანახავ“ ღირსშესანიშნაობებს, ბარებს, რესტორნებს და ა.შ. ამ არაჩვეულებრივი რუკების დაბეჭდვა მოითხოვს თანხას, ამიტომ თუ რომელიმე თქვენგანს ან თქვენს ნაცნობს შეუძლია ფონდისთვის შემოწირულობის გაღება, გვთხოვთ მხარდაჭერისთვის მოგვმართოთ [აქ](#).

EURODIG 2018 კონფერენციას

თბილისმა ამ თვეში EuroDig 2018-ის კონფერენციას უმასპინძლა. დრონის წევრები მონაწილეობდნენ მნიშვნელოვან ღონისძიებაში, რომელიც ეხებოდა ციფრულ ერაში ისეთ ახალ გამოწვევებსა და შესაძლებლობებს, როგორებიცაა მონაცემების უსაფრთხოება, კიბერ ჰიგიენა და ასე შემდეგ. ასევე განიხილავდა იმას, თუ როგორ უნდა მოვამზადოთ ახალგაზრდები ციფრული ცხოვრებისთვის 21-ე საუკუნეში. დრონის მთავარ მიზანს წარმოადგენდა აქტიურად ჩართულობა იმ საკითხში, რომელიც განიხლავს იმას, თუ როგორ უნდა განვითარდეს საგანმანათლებლო სტრატეგიები ახალგაზრდებისთვის იმისათვის, რომ მათ სწორი მიმართულება აიღონ ამ სფეროში. ამის მიზეზი კი არის ის, რომ ახალგაზრდებისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია ინტერნეტის შესაძლებლობების ცოდნა.




ზაფხული უკვე ჩვენთანაა

14 ივნისის ცხელ საღამოს, დრონი-მ უმასპინძლა “Summer Kick-Off/Geek’n”-ის ღონისძიებას. ეს იყო შესანიშნავი შესაძლებლობა დრონი-ს წევრებისთვის, რომ გართობილიყვნენ და ამავდროულად უკეთ დაემყარებინათ ურთიერთობა ერთმანეთთან ზაფხულის თბილი საღამოს ფონზე. ღონისძიებაზე წევრებს ჰქონდათ საშუალება, რომ ეთამაშათ სხვადასხვა სახის თამაშები PS4-ზე ან გამოეწვიათ ერთმანეთი კარტისა და სამაგიდო თამაშებში. გარდა ამისა, წევრებს შეეძლოთ დაეღიათ ტერასაზე სასიამოვნო მუსიკის ფონზე. დრონის ღონისძიებები, როგორცაა “Geek’n” ეხმარება წევრებს იმისათვის, რომ უკეთ გაიციონ ერთმანეთი.

STRING ART

პირველ ივნისს, დრონის წევრები მონაწილეობას იღებდნენ ინსპირაციულ ღონისძიებაში, რომელიც მათი კრეატიული იდეების ხელოვნებად გარდაქმნას გულისხმობდა. ეს ღონისძიება String Art-ის სახელით არის ცნობილი. String Art-ის შემსრულებლები ქინძისთავეებზე ან ლურსმნებზე ახვევენ ძაფებს და იღებენ შესანიშნავ, ულამაზეს შედეგებს.



დრონი-მ ვორქშოფისათვის საჭირო ატრიბუტების მობილიზაციაზე იზრუნა. შესაბამისად, მონაწილეები ყველა საჭირო მასალით (ფიცარი, ძაფი და ლურსმნები) იყვნენ უზრუნველყოფილნი. თავდაპირველად მონაწილეები მარტივ, მინიმალისტურ დიზანზე მუშაობდნენ, თუმცა საბოლოოდ მათ string art-ის მეტად კომპლექსური მოდელები შექმნეს. შეხვედრა საკმაოდ პროდუქტიული გამოდგა, რადგან თითოეულმა მონაწილემ დროის სასიამოვნოდ გატარებასთან ერთად ახალი ცოდნაც მიიღო.

ადამიანის უფლებების ციფრულ სამყაროზე

ივნისის თვეში დრონიმ ჩაატარა სამნაწილიანი ვორქშოპი, რომელიც ადამიანის უფლებების ციფრულ სამყაროზე გავრცელებას შეეხებოდა. ბოლო ვორქშოფი ფოკუსირებული იყო ციფრული არტის შექმნაზე, რომელიც გამოხატავდა იმას თუ რამდენად რელევანტურია ადამიანების უფლებები ონლაინ. ვორქშოპის განმავლობაში მონაწილეებს შორის მიმდინარეობდა ძალიან საინტერესო დისკუსია, იმის შესახებ თუ როგორ უნდა მოიცვას ადამიანის უფლებებმა ინტერნეტი.



ბავშვთა დღე

1 ივნისს მსოფლიომ ბავშვთა დღე აღნიშნა. ამ დღეს დრონის წევრები გონებრივი/ფიზიკური პრობლემების მქონე ბავშვებს შეხვდნენ. შეხვედრა 198-ე სკოლაში გაიმართა.

ღონისძიება რამდენიმე აქტივობისაგან შედგებოდა. თავდაპირველად მაგიდის ტენისის ვორქშოპი ჩატარდა და ბავშვებმა ისწავლეს თუ როგორ უნდა ეთამაშათ. ამის შემდეგ, დრონის მოხალისეები სახის მოხატვაში ეხმარებოდნენ. ამავე დღეს, სპეციალურად ბავშვებისათვის, ჩატარდა ცირკის წარმოდგენა.

თითოეულ მონაწილეს გადაეცა სერთიფიკატი. ეს აქტივობა ბავშვებში სოციალური უნარების განვითარებისათვის იყო მნიშვნელოვანი: ისინი შეხვდნენ ახალ ადამიანებს და აითვისეს ახალი უნარები. ეს იყო მეგობრული და სახალისო შეხვედრა.

დრონის წევრები საზღვარგარეთ

მოკლევადიანი EVS ბულგარეთში (ედუარდ შამილაძე)

ედუარდი ერთი თვის მანძილზე მონაწილეობდა მოკლევადიან EVS პროგრამაში ბლაგოვგრადში, ბულგარეთი. EVS ეხებოდა „არა სიძულვილის ენის მოძრაობას“. ედუარდმა და სხვა მოხალისეებმა განახორციელეს უამრავი სხვადასხვა აქტივობა, რომელიც მოიცავს ტრენინგების ჩატარებას, ფლემშობებში მონაწილეობას, გრაფიტით ხატვასა და ა.შ. ედუარდისთვის ეს გამოცდილება საკმაოდ სასიამოვნო იყო, რამეთუ პროექტის ფარგლებში მას საშუალება მიეცა გაეცნო და შეეძინა 40 ახალი მეგობარი მთელი ევროპის მასშტაბით. აღნიშნულმა EVS პროგრამამ ედუარდის გამოცდილებაზე იმდენად დიდი გავლენა მოახდინა, რომ იგი აპირებს ჩაერთოს EVS-ის გრძელვადიან პროგრამებშიც.



სასკოლო აქტივობა CURRAL DAS FREIRA-ში (ანი სპარსიაშვილი)

ანი და EVS-ის სხვა მოხალისეები ესტუმრნენ სკოლას Curral das Freiras-ში, სადაც ბავშვებისთვის სხვადასხვა აქტივობა და თამაში ჩატარეს. მათ ითამაშეს ქართული, სლოვენიური და თურქული თამაშები. ბავშვებმა, ისევე როგორც მასწავლებლებმა, ძალიან ისიამოვნეს თამაშებით. ეს იყო ძალიან სახალისო დღე, რომელიც საკმაოდ სწრაფად გავიდა გართობისა და შემცნების პროცესებით.



პროექტი დასრულდა! (ნიკა დანელია)

წინა თვის ნიუსლეტერში შეგატყობინეთ, რომ ნიკა დანელია დაკავებული იყო პროექტზე მუშაობით, რომლის ფარგლებშიც შუშის ბოთლები უნდა გადაექცია ქუჩის განათებად. ამ თვეში ეს სამუშაოები დასრულდა და საბოლოო პროდუქტები გამოიფინა მადეირას ქუჩებში.





მომდევნო კვირის დონისძიებები

(ივლისში დაგეგმილი დრონის ატივობები)

ორშაბათი	სამშაბათი	ოთხშაბათი	ხუთშაბათი	პარასკევი	შაბათი	კვირა
						1
2	3	4	5	6 ფილმის ჩვენების დღე @ DRONI-ს ოფისი	7	8
9	10	11	12	13	14	15 მსოფლიო თასის ფინალის ჩვენება @ DRONI-ს ოფისი
16	17	18	19	20	21	22
23	24	25	26	27	28	29
30	31					

ვულოცავთ დაბადებისდღეს



ვულოცავთ დრონის ყველა წევრს, რომელიც დაბადებისდღეს ივნისში აღნიშნავს:

ვასო იზორია, თორნიკე გოგსაძე, თეო ჭაჭუა, თათია კაკულია, თამარ მამულაშვილი, თაკო სართანია, სოფიკო ბაბალაშვილი, სოფი შაბურიშვილი, ნინო თაგანაშვილი, ნიკა ჯუშოშვილი, მურთაზ ბოლქვაძე, მარიამ გაბელაია, მარიამ კაციტაძე, ლაშა კაკაშვილი, ირაკლი ვერულაშვილი, ეკატერინე ხომასურიძე, დათო ჭანტურიძე, დაჩი ლევსვერიძე, ოლაია გონსალეს